ქეთევან თევზაძე

ალკალას უნივერსიტეტი, ესპანეთი

4-8 მაისს, ერაზმუს+ აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის ასისტენტ-პროფესორი, ქეთევან თევზაძე, იმყოფებოდა ალკალას უნივერსიტეტში, ესპანეთში.

აღნიშნული ვიზიტისას ლექტორს მასპინძლობდა ალკალას უნივერსიტეტის პროფესორი ბლანკა გარსია ენჩესი. პროგრამის ფარგლებში ეკონომიკის, ბიზნესის და ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის დაიგეგმა ლექციები თემაზე „ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარების მარკეტინგული სტრატეგიები“, სადაც განხილული იქნა საქართველოსა და კავკასიის რეგიონის მაგალითები. ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებისთვის პროფესორ ოსკარ მონტესთან თანამშრომლობით გაიმართა ლექცია და დისკუსია თემაზე „ინოვაცია, მდგრადობა და მომავლის ტენდენციები ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში“.

მობილობამ ლექტორს შესაძლებლობა მისცა გასცნობოდა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, სასწავლო გარემოსა და საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ ინიციატივებს. ვიზიტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს უნივერსიტეტებს შორის აკადემიური პრაქტიკის გაზიარება წარმოადგენდა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესებასა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას.